აგროსერვის ცენტრის გაზეთი

# გუთნეული

№1. ოქტომბერი. 2013 წელი

WWW.AGROSC.GE

## რედაქციისაგან

ჩვენო მკითხველო!

გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ აგრარული მიმართულების გაზეთი, რომელმაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ქართული სოფლის, მისი მეურნეობრიობის რეაბილიტაციასა და განვითარებაში. ქართული სოფელი ყოველთვის იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და საერთოდ, არსებობის მთავარი დვრიტა და საფუძველი. დღესაც ნათელია, რომ აგროსექტორი, აგრარული წარმოება ეკონომიკის განმსაზღვრელი დარგია. მისი პრიორიტეტული განვითარება დიდად განაპირობებს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასა და ქვეყნის წინსვლას.

ცოდნა, სწავლება და სასარგებლო რჩევების მიცემა საჭიროა როგორც ინტელიგენტის და პოლიტიკოსის, ასევე ნებისმიერი უბრალო მშრომელი კაცისათვის, რადგან ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს ჩაწვდეს შრომის არსს და მიზანს, ამშვენიერებს სულსა და სხეულს. როგორც ვხედავთ ქართული სოფლის, აგროსექტორის, უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელობა სცილდება უბრალოდ მიწის დამუშავების, თოხნა-ბარვის და თავის გამოსაკვებად მოსავლის მოყვანის ფარგლებს, რადგან მას ადამიანის სრულყოფის მისიაც აქვს.

ამიტომაც გვინდა გესაუბროთ ქართული სოფლის ფენომენზე, ტრადიციული მეურნეობრიობის მნიშვნელობაზე, მის კავშირზე ქართველი კაცის სულიერებასთან, გენოტიპთან, ცხოვრების წესთან. საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებზე აგრარულ სფეროში, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე კი ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაზე, მის განხორციელებაზე აჭარის რეგიონში და თითოეული ჩვენგანის მონაწილეობაზე ამ საქმეში, სახელისუფლებო სტრუქტურების მხარდაჭერასა და ჩატარებულ რეფორმებზე.

ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ტრადიციული დარგები, რომლებიც დღეს მატერიალური კულტურის ცოცხალ ძეგლებს წარმოადგენენ. როგორიცაა ქართული ხორბალი, ვაზის ჯიშები, უნიკალური ქართული ფუტკარი, პირუტყვი, ხეხილი და ა.შ. ასევე ვისაუბრებთ შემდეგ შემოტანილ, მაგრამ უკვე ტრადიციად ქცეულ დარგებზე და კულტურებზე. ალტერნატიულ ახალ დარგებსა და კულტურებზეც, რომელთა შემოტანა და დანერგვა მომგებიანი იქნება ჩვენთვის. ასეთია მესიმინდეობა, მეჩაიეობა, თამბაქოს წარმოება, მეყვავილეობა. ალტერნატიული კულტურები - ხურმა, ფეიხოა, კივი, მოცვი და ა.შ. გარდა ამისა, ვისაუბრებთ სოფლად შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების, ფერმერული მეურნეობებისა და მათი გაერთიანებების, (კოოპერატივების) ფორმირებასა და განვითარებაზე, მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გაძლიერების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის უდიდეს მნიშვნელობაზე, უცხოური გამოცდილების გაზიარებაზე, ბოლოს კი, კონკრეტულად იმ საკითხებზე თუ რა მოვალეობა აკისრია მთელ ამ პროცესში უშუალოდ მშრომელ კაცს, როგორ მოაწყოს მეურნეობა, როგორ გამოიყენოს მოწინავე გამოცდილება და საკუთარი მეურნეობა გახადოს რენტაბელური.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნება ფერმერთა და სპეციალისტთა სწავლება-გადამზადება, რჩევა-დარიგებების და რეკომენდაციების მიცემა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უკეთ ჩასატარებლად და ა.შ. გაზეთის ფურცლებზე მოვიწვევთ ამ სფეროს მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პრაქტიკოსებს. მოგიწვევთ თქვენ, ქართული სოფლის წარმომადგენლებს-ფერმერებს, აგრობიზნესმენებს, ყველას ვინც დაკავშირებულია ამ უაღრესად, საარსებო მნიშვნელობის სფეროსთან, თქვენი აზრის გამოსახატავად და როცა აიღებთ ხელში გაზეთ „გუთნეულს", გვინდა იგრძნოთ, რომ ეს თქვენი გაზეთია, თქვენი აზრების, ფიქრების, ტკივილების და მისწრაფებების გამომხატველი, სულისა და სხეულის გამამდიდრებელ-გამამშვენიერებელი. მაშინ ჩვენი მისიაც და შრომაც გამართლებული იქნება.

## ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ქართული სოფლის რეაბილიტაცია და განვითარება

ვისაც ქართული სოფლის, აგროსექტორის მომავალი აწუხებს, ბუნებრივია უჩნდებათ კითხვაც, თუ რა შესაძლებლობებით, რა კონკრეტული საქმიანობით აპირებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" ფერმერთა დახმარებასა და ხელშეწყობას. როგორია მისი საქმიანობის გამოკვეთილი პრიორიტეტები? სრული სიცხადე რომ შევიტანო და ყველა სავარაუდო კითხვას გავცე პასუხი. გეტყვით რომ, ჩვენ ვმუშაობთ სამი მიმართულებით: მემცენარეობა, მეცხოველეობა და ფერმერთა სწავლება-კონსულტირება, მუშაობის მეთოდიკა სადემონსტრაციო-სამეურნეო-პრაქტიკული ხასიათისაა. ჩვენს სანერგეებში აპრობირებულ და გამრავლებულ, ახალ და გაუმჯობესებულ ხეხილისა და ციტრუსოვანთა ნერგებს თვითღირებულების ფასად მივყიდით მოსახლეობას, ფერმერებს და ყველა დაინტერესებულ პირს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს განაახლოს ხეხილისა და ციტრუსოვანთა ბაღები, მიიღონ უხვი და მაღალი ხარისხის მოსავალი და საკუთარი ფერმერული მეურნეობა გახადონ რენტაბელური.

იმავე მიზანს ვისახავთ მეცხოველეობაშიც. ცნობილია, რომ მოსახლეობაში არსებული პირუტყვი მოითხოვს ჯიშობრივ განახლებას. ეს პრობლემა ძირითადად მეცხოველე ფერმერებს აწუხებთ, რომელთა მეურნეობის განვითარებას „აგროსერვის ცენტრი" პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების საშუალებით აპირებს. საამისოდ გამოყენებული იქნება მაღალპროდუქტიული, ჯიშიანი პირუტყვისგან აღებული ბიომასალა. ეს სამუშაოები გასულ წელს დავიწყეთ და უკვე მივიღეთ პირველი თაობის რამდენიმე ათეული ნამატი. მალე ღორების ხელოვნურ განაყოფიერებასაც დავიწყებთ. ამით ჩვენ ფერმერებს მივცემთ საშუალებას, რომ მეღორეობაც რენტაბელური გახადონ.

სასიამოვნოა, რომ სოფლის მოსახლეობა, ფერმერები დაინტერესებული არიან ამ ნოვაციებით. ეს სტიმულს გვაძლევს, რომ შევქმნათ პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელი მთელი აჭარის მასშტაბით, განსაკუთრებით მთიან აჭარაში, სადაც მეცხოველეობა წამყვანი დარგია. ასე რომ ვფიქრობთ, ახლო მომავალში შევძლებთ რადიკალურად გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და პროდუქტიულობა.

საამისოდ კი, ცხადია ფერმერთა შესაბამისი სწავლება - კონსულტირებაა საჭირო. ჩვენ ამ მხრივაც აქტიურად ვმუშაობთ. მსგავსი მომსახურება უკვე გავუწიეთ ასობით ფერმერს. მათ ვაცნობთ ახალ მიღწევებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, უცხოურ გამოცდილებას. ამ საქმეში ჩართული გვყავს მეცნიერები და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსები.

ფერმერებს ჩვენთან შეუძლიათ გაეცნონ ხილის გადამამუშავებელი მცირე საწარმოს მუშაობას. ჯერჯერობით ესაა ხილის საშრობი საამქრო, რომლის მაგალითზეც მათ შეუძლიათ ანალოგიური საამქროების შექმნა.



„აგროსერვის ცენტრის" დირექტორი გოჩა ბერიძე

ჩვენ დავეხმარებით სოფლის მოსახლეობას ფერმერული მეურნეობის და მათი გაერთიანებების, კოოპერატივების ფორმირებასა და განვითარებაში. ესაა მსოფლიოში შრომის ორგანიზაციის ნაცადი და გამართლებული ფორმა, რომელიც ნებაყოფლობის პრინციპზეა აგებული. მართალია, შრომა კოოპერატივში საერთოა, მაგრამ სხვა მხრივ კოოპერატივის წევრები დამოუკიდებელი და თავისუფალნი არიან, მათ შორის სახელმწიფოსგანაც, გარდა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა. მათ სახელმწიფოსგან რეალური მხარდაჭერა და ხელშეწყობაც ექნებათ.

(გაგრძელება მე-2 გვ)

## აჭარის აგროსექტორის მხარდაჭერისთვის



დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების რთულ გზაზე არაერთმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინა თავი, რაც განსაკუთრებით მძიმედ ქვეყნის აგროსექტორზე აისახა. დაინგრა არსებული კავშირები, მოიშალა აგროსისტემა და ბაზარი. სანაცვლოდ კი ღირებული ვერაფერი შევქმენით. ერთნაირად დაზარალდა თითქმის ყველა დარგი, ზოგიერთ მათგანს კი არსებობის შეწყვეტის საფრთხეც დაემუქრა.

სწორედ მაშინ, როცა გამოსავალი თითქმის აღარ ჩანდა და გლეხკაცსაც იმედი გადაწურული ჰქონდა, ხელისუფლებამ აგროსექტორის განვითარება პრიორიტეტად აღიარა, რომ სოფლის მეურნეობაში უამრავი სერიოზული პრობლემაა დაგროვილი და აქ იოლი გამოსავალი ნამდვილად არ არსებობს. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ქართული სოფლის, ქვეყნის აგროსექტორისა და ზოგადად გლეხკაცის ფეხზე დაყენება განუზრახავს, გაეროს და ევროკავშირის მიზნობრივი პროგრამებია.

ამ პროგრამების პირველი შედეგები უკვე თვალშისაცემია. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ „ENPARD Ajara - სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" პროექტის მენეჯერს ლაშა კომახიძეს, რომელმაც დაგვარწმუნა,

(გაგრძელება მე-2 გვ)

### აჭარაში „ოქროს რთველი" იწყება

რაც მთავარია წყდება ტარა-მასალის პრობლემა. 30 კგ.-იანი ხის ყუთები ამოვარდება ხმარებიდან და ბაზარს დამზადებული ნაყოფი მიეწოდება ე.წ. შპონის 10-12 და 15 0 კგ.-იანი ყუთებით. ეს ბევრ უხერხულობას და ზედმეტ ხარჯებს აგვაცილებს თავიდან.

2



### სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები - აგროსექტორის მომავალი

პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები უკვე შეიქმნა და ეს მუშაობა გრძელდება.

3



### ღვინის კომპანიები აჭარული ყურძნით ინტერესდებიან

კომპანია „ასკანელი ძმები" და „კატავე" ფერმერებთან უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს და იქაური მთლიანი მოსავლის შესყიდვას აპირებენ.

3



### რას ვთავაზობთ მეციტრუსე ფერმერებს დღეს, ხვალ...

ნერგები ახლა აკლიმატიზაციის გადიან და რომელიც უფრო მეტად გამოდგება ჩვენს პირობებში, გამოავლენს კარგ ნიშან-თვისებებს, ადვილად შეეგუება კლიმატს, მას გავამრავლებთ და თვითღირებულების ფასად მივყიდით მოსახლეობას.

3



### ფუტკრის მომზადება გამოზამთრებისთვის

გამოცდილმა მეფუტკრეებმა იციან, და დამწყებ, ახალბედა მეფუტკრეებს კი შევახსენებთ...

4



# აჭარაში „ოქროს რთველი“ იწყება

აჭარის მთავრობა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ციტრუსოვანთა წლევანდელი მოსავლის უდანაკარგოდ და რაც შეიძლება მომგებიანად აღება-რეალიზაციას. ამისთვის სამზადისი კარგა ხანია დაწყებულია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსავლის დამზადების თანამედროვე სისტემის შექმნას, ბაზრებზე გასვლას და იქ რაც შეიძლება კონკურენტუნარიანი პროდუქციის შეტანას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, წელს 110 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა მოიკრიფოს, რომლის 95 პროცენტი მანდარინი იქნება. მოსავლის 75-80 პროცენტის ექსპორტზე გატანას ვარაუდობენ, რაც საკმაოდ დიდი საზრუნავია და როგორც ვთქვით, დამზადების სისტემის გამართულ მუშაობას და საგარეო ბაზარზე მუშაობის გააქტიურებას, დამატებით ახალი ბაზრების მოძიებასაც საჭიროებს.

კონკურენტუნარიანი მოსავლის წარმოებაზე ზრუნვა და მისი ბაზარზე გატანის უზრუნველყოფა - დღეს უპირველესი საზრუნავია. იმ პროცესებს, რასაც ადრე სახელმწიფო არეგულირებდა, ახლა ბაზარი, საბაზრო ურთიერთობები, პროდუქციის ხარისხი და კონკურენცია წყვეტს. მომხმარებელსაც არჩევანის საშუალება აქვს და თუ წარმოება-რეალიზაციის ყველა ციკლში მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შევცვალეთ, აღარც წარმატების პერსპექტივა გვექნება. ხომ ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის ნაყოფს, კარგად მოვლილი ციტრუსის ბაღები იძლევა, მოვლა კი სერიოზულ აგროღონისძიებებთანაა დაკავშირებული, რასაც მეციტრუსეთა დიდი ნაწილი მოკლებული იყო, ამიტომაც დაიწყო მეციტრუსეობის რეანიმაციის პროცესი ბაღებიდან, წელს ფერმერებს საამისოდ გაცილებით მეტი შესაძლებლობები მიეცათ.

ვინც საგაზაფხულო სამუშაოებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ბარათები სათანადოთ გამოიყენა, დროზე დაამუშავა და შეწამლა ბაღი, კარგ მოსავალსაც ელის. „სტანდარტული“ ნაყოფიც მეტი ექნება და რეალიზაციაც არ გაუჭირდება. სწორედ ასეთ მოსავალს მისცემენ უპირატესობას შემფუთავი ქარხნები, რომელთა რეაბილიტაციაც ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ესაა წლევანდელ ციტრუსოვანთა სეზონზე აჭარის მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაცია, რამაც მკვეთრი სასიკეთო გარდატეხა უნდა შეიტანოს „ოქროს რთველის“ წარმატებით ჩატარებაში. აქ იგულისხმება როგორც მაღალხარისხოვანი მოსავლის ორგანიზებულად მიღება-დამზადება, ასევე თანამედროვე ბაზრისათვის შესაბამისი კონფიგურაციით მიწოდება საექსპორტოდ. რაც მთავარია წყდება ტარა მასალის პრობლემა. 30 კილოგრამიანი ხის ყუთები ამოვარდება ხმარებიდან და ბაზარს დამზადებული ნაყოფი მიეწოდება ე.წ. შპონის 10-12 და 15 კილოგრამიანი ყუთებით. ეს ბევრ უხერხულობას და ზედმეტ ხარჯებს აგვაცილებს თავიდან, რაც დაკავშირებული იყო საბაჟო პროცედურებთან, ჩატანის ადგილზე მოსავლის სხვა ყუთებში გადაცლასთან და სავაჭრო ქსელში შეტანასთან. ახლა ექსპორტიორებს შეემლებათ პირდაპირ სავაჭრო ქსელში, ყოველგვარი შუალედური რგოლების გარეშე შეიტანონ პროდუქცია.



ახლაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი გათვლა წლევანდელი ციტრუსოვანთა მოსავლის დამზადებაში. ამისთვის შეირჩა 11-მდე ყოფილი ციტრუსების შემფუთავი საწარმო: 7 ქობულეთის და 5 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დიდ სოფლებში. აჭარის მთავრობის განკარგულებით ისინი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, კონკურსის წესით გადაეცათ ინვესტორებს, რომლებიც ვალდებული არიან საწარმო მოამზადონ სეზონისთვის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩაქვის, ქვედა აჭყვის, ბობოყვათის, მუხაესტატეს, ზენითის, ქაქუთისა და ალამბრის შემფუთავი საწარმოები იმუშავებენ. ალამბრის საწარმოში ეწყობა „შპონის“ 12 კგ. ყუთების წარმოებაც. აქ წელს 1.5 მილიონი ასეთი ყუთის დამზადებას აპირებენ. ამჟამად ამ საწარმოებში დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.

როგორც ზენითის შემფუთავი ქარხნის ხელმძღვანელმა ანზორ ქათამაძემ გვითხრა, წელს აქ 1500 ტონა მანდარინის ნაყოფს მიიღებენ და დაამზადებენ. რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ იგი მიმდებარე სოფლების მოსავალზეა გათვლილი, ანუ იმ ნაწილზე, რაც საექსპორტოდ გამოდგება. აქ შრომის პირობებიც უკეთესი იქნება და ფერმერთა ანაზღაურებაც. ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი მოსავლის თანამედროვე ყუთებით მიწოდება დიდი საქმეა და უეჭველად კარგ შედეგსაც მოიტანს. ამით მეციტრუსე ფერმერებიც არიან დაინტერესებულები, რადგან მეტი შემოსავლის მიღების იმედი გაუჩნდათ.

ასე ფიქრობს მუხაესტატელი მეციტრუსე ფერმერი სოსო ქათამაძეც. მისი თქმით, მანდარინის ბაღი და მისი მოსავალი ოჯახის ძირითადი სარჩო-საბადებელია. წელს სახელმწიფოს დახმარებით, სასოფლო-სამეურნეო ბარათების მეშვეობით ბაღს უკეთესად მოუარა. 10 ტონამდე მაღალი ხარისხის ნაყოფსაც ელის და იმედი აქვს, რომ სახელმწიფოსვე დახმარებით, მოსავლის ორგანიზებულად დამზადებით და წარმატებული რეალიზაციით კარგ შემოსავალსაც მიიღებს. ამით შესაძლებლობა მიეცემა ოჯახი შეინახოს და ციტრუსოვანთა ბაღსაც კარგად მოუაროს. მეტიც, იზრუნოს მის განახლება-გაზრდაზე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშიც მეციტრუსეთა უმრავლესობა ამგვარადაა განწყობილი. წელს აქ 30 ათასი ტონა ციტრუსის საწარმოო დამუშავებას აპირებენ. როგორც აგროსერვის ცენტრის ხელვაჩაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ვაშაყმაძემ განაცხადა, ნაყოფს 5 შემფუთავ-დამხარისხებელი ქარხანა მიიღებს, ქარხნების სეზონისთვის მზადება ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს. მისი თქმით ყველა მათგანი ოქტომბრის ბოლოსთვის მზად იქნება. სამუშაოების მიმდინარეობა გაწერილი გეგმა-პროგრამის შესაბამისად ხორციელდება.

ჯერჯერობით შენობა-ნაგებობების წესრიგში მოყვანის სამუშაოები მიმდინარეობს. მალე საწარმოებში დანადგარების და დამხარისხებელი ხაზების მონტაჟი დაიწყება. თხილნარის ქარხანა, რომლის ხელმძღვანელი ზაზა დიასამიძეა, წელს 3500 ტონა ნაყოფს დამზადება-გადატვირთვას გეგმავს.



სამუშაოები აქაც მთელი დატვირთვით მიმდინარეობს. მისი განმარტებით, ჯერჯერობით რაიმე შემაფერხებელი მიზეზი არ არსებობს და სამუშაოებსაც ვადაში დაამთავრებენ. პერსონალიც მზადაა და სხვა ორგანიზაციული საკითხებიც მოგვარებულია. როგორც ჭარნალელმა ფერმერმა ნოდარ მგელაძემ განაცხადა, წელს სამთავრობო ხელშეწყობამ, დროულმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა შედეგიც გამოიღო, მოსავალი გაცილებით ხარისხიანი და საღია. იგი 10 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინის ნაყოფის რეალიზაციას აპირებს.

რაც შეეხება მეორე მთავარ პრობლემას-საგარეო ბაზარს, მის გაფართოებაზე როგორც ქვეყნის ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, სამთავრობო არხებით გაზაფხულიდანვე ზრუნავს. კონკრეტულად კი ამ საქმეში რა თქმა უნდა, საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროები აქტიურობენ. ცნობილია თუ რა დიდ მუშაობას ატარებს ქვეყნის წარმომადგენლობა რუსეთში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის ამ ქვეყნის ბაზრის გახსნაზე. უკვე მიღწეულია შეთანხმება სატვირთო და სამგზავრო მიმოსვლის აღდგენაზე, რაც ციტრუსის გატანასაც გულისხმობს.

უკრაინა კვლავ რჩება ციტრუსის მთავარ ბაზრად. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი თავად მონაწილეობს ამ ქვეყანასთან საბაჟო ტარიფების დარეგულირებისთვის გამართულ მოლაპარაკებებში. მინისტრის მოადგილეები და პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ მსგავს მოლაპარაკებებს აზერბაიჯანთან, სომხეთთან და სხვა ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან. ამ საქმეში ჩართულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობაც. ასე რომ, გადადგმული ნაბიჯები წლევანდელი ციტრუსის სეზონის თანამედროვე, ცივილიზებული წესით და წარმატებით ჩატარებისკენ საკმაოდ დამაიმედებელია და ვფიქრობთ, აჭარის მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ენერგიული მცდელობა ამ მხრივ სასურველი შედეგით დასრულდება.

**ნუგზარ ჟორდანია,**
**რევაზ მსხილაძე.**

# ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ქართული სოფლის რეაბილიტაცია და განვითარება

(დასასრული)

ასე რომ, ჩვენ ფერმერებს ვთავაზობთ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას მემცენარეობასა და მეცხოველეობაში. მოვახდენთ მათ გადამზადებას, ვასწავლით მეურნეობის ახლებურად გაძღოლას, მივცემთ ახალ ცოდნას და გავაცნობთ მოწინავე გამოცდილებას. ყველას შეუძლია გვესტუმროს სანერგე მეურნეობაში და ნახონ ხეხილის, ციტრუსისა და ვაზის კოლექციები, გაეცნონ მათ უპირატესობებს და შემდგომში საკუთარი მეურნეობისათვის შეარჩიონ სასურველი ჯიშები და სახეობები.

ანალოგიურად მეცხოველეობაშიც, ჩვენ ხელოვნური განაყოფიერების გზით ვამრავლებთ უცხოური წარმოების ხუთამდე ჯიშის მსხვილფეხა-რქოსან პირუტყვს. ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ თითოეული ჯიშის მონაცემებს.

ფერმერთა მაღალ დონეზე სწავლება-კონსულტირებისათვის კი ვაპირებთ გავხსნათ მუდმივმოქმედი აგრარული კურსები. მალე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარასა და დაბა ჩაქვში გვექნება შესაბამისი ადმინისტრაციული ცენტრი - ოფისები.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ თანდათან ივსება მაღალკვალიფიციური აგროსპეციალისტებით, მის ირგვლივ ერთიანდებიან აგრომეცნიერები და პრაქტიკოსები, იხვეწება მუშაობის სტილი და მეთოდები, იზრდება საქმიანობის ეფექტურობა. ამიტომაც ვპირდებით ფერმერებს მაღალკვალიფიციურ მომსახურებას, ხელშეწყობას. ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ქართული სოფლის, სასოფლო – სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია და განვითარება.

**ა (ა) იპ „აგროსერვის ცენტრის“**
**დირექტორი გოჩა ბერიძე**

# საადრეო მანდარინის პირველი მოსავალი

ბაზარზე ტექნიკურად მწიფე მანდარინი გამოჩნდა. ეს კერძო პირების ბაღებისა და იმ საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების მოსავალია, რომლებიც ჩაქვში სახელმწიფოს ეგიდით გაშენდა. მართალია, მოსავალი ჯერჯერობით ძალიან მცირეა, მაგრამ კურსის აღება ციტრუსოვანთა საადრეო და შუალედური ჯიშების გამრავლებაზე, საგვიანო ჯიშებთან ერთად და ამ გზით ჩვენი ბაღების განახლება, მეცნიერ-პრაქტიკოსებმა უპირველეს საქმედ მიიჩნიეს, რასაც მხარს უჭერს სახელმწიფოც. ეს ხელს შეუწყობს ციტრუსოვანთა მოსავლის აღება-რეალიზაციის უდანაკარგოდ, ეფექტურად ჩატარებასაც, რადგან სეზონი ოქტომბრიდან ახალ წლამდე გაგრძელდება და ძველებურად უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში, ექსტრემალურ ვითარებაშიც აღარ მოგვიწევს ძალების, ნერვების და ზედმეტი თანხების ხარჯვა.



ამ სიახლეს უნდა შეესაბამოს დამზადებისა და რეალიზაციის სისტემაც. ყოველივე ამას დეტალურად გაეცნო აჭარაში სტუმრად მყოფი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალიგაშვილი. სანერგე მეურნეობების, საფუთავი და ტარის ქარხნების მონახულებისას. მას თან ახლდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები იოსებ აბულაძე, როსტომ შერვაშიძე და ავთანდილ მესხიძე. განმარტებებს იძლეოდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორი გოჩა ბერიძე.

დაათვალიერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „ქართული ბოსტნეულის“ და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ციტრუსოვანთა სადედე, საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგეები, სადაც უცხოეთიდან შემოტანილი ციტრუსოვანთა საადრეო ჯიშებია გაშენებული. ახლო მომავალში დაიწყება მათი მოსახლეობაში გავრცელება, რაც მეციტრუსეებს უკეთესი ხარისხის და მეტი რაოდენობის მოსავლის მიღების საშუალებას მისცემს, თანაც საადრეო და ხარისხიანი ხილი ყოველთვის გაცილებით ძვირადაც ფასობს. მეციტრუსეობის დარგში ჯიშთგანახლების იდეას მეცნიერ-სპეციალისტები წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ძირითადად უცხოეთის ქვეყნებიდან შემოტანილი საადრეო ჯიშის ციტრუსოვნებია გაშენებული მოსახლეობაში გასავრცელებლად. ეს მეციტრუსე ფერმერებს ახლო მომავალში საშუალებას მისცემს მიიღონ უკეთესი მოსავალი და მეტი შემოსავალი, საადრეო ციტრუსის ნაყოფი დღეს ბაზარზე 2 ლარამდე ღირს.

**რევაზ მსხილაძე,**
**„აგროსერვის ცენტრის“**
**კონსულტანტ-მკვლევარი.**

# აჭარის აგროსექტორის მხარდაჭერისთვის

(დასასრული)

რომ ამ ორგანიზაციების მხარდაჭერა აჭარის აგროსექტორის განვითარების მძლავრი ფაქტორი იქნება. გთავაზობთ მის მონათხრობს:

**- გაეროს და ევროკავშირის მისიები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის აჭარაში 2008 წლიდან მუშაობენ, ჩვენი მისია კი, 2011 წლიდან რამდენიმე პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა. აგროსერვის ცენტრს დავეხმარეთ სანერგე მეურნეობის მოწყობაში, შევიძინეთ ხილის გადამამუშავებელი საწარმოსთვის ტექნოლოგიური მოწყობილობები. ახლანდელი 3.3 მილიონ ევროიანი ბიუჯეტის მქონე, პირველი მაშტაბური პროექტია.**

იგი აჭარის აგროსექტორში სერიოზულ შედეგებსაც მოიტანს. პირველ რიგში მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მასში ჩავდოთ ახლებური, თანამედროვე მიდგომები და ეფექტურად წარმოვაჩინოთ შესაძლებლობები. აღვნიშნავ, რომ სწორედ აგროსერვის ცენტრის არსებობაა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მსგავსი პროექტების წარმატებულად განხორცილების საფუძველს იძლევა.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ აგროსერვის ცენტრის გამართულ, ეფექტურ მუშაობაზე, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ უნდა გახდეს ის ძირითადი ბაზა, სადაც მოხდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების ხეხილის ნერგების და პირუტყვის, წარმოების, მათი გამოცდისა და გავრცელების პროცესების წარმართვა. საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგეების საშუალებით ფერმერები ეზიარებიან ახალ ცოდნას, პროგრესულ და ეფექტურ ტექნოლოგიებს, ექნებათ შესაძლებლობა პრაქტიკულად თვალნათლივ დაინახონ იმ ნოვაციების უპირატესობები, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, გაეცნონ მეცნიერულად დასაბუთებულ და აპრობირებულ მეთოდებს, თუ როგორ ჩაატარონ აგროტექნიკური სამუშაოები, როგორ და რა ვადებში გამოიყენონ სასუქები და პესტიციდები. დაეუფლონ ფერმერული მეურნეობის მართვის ხელოვნებას, ისწავლონ პრიმიტიული, გლეხური მეურნეობიდან თანამედროვე ფერმერული, ეკონომიკურად სრულყოფილ და რენტაბელურ მეურნეობრიობაზე გადასვლა, პრობლემების გადაჭრა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი პროექტის მთავარი მისიაც ამ მაღალ მიზნებზეა გათვლილი. ერთია, როცა ფერმერი აწარმოებს პროდუქციას. მეორეა, როცა იგი უძლურია გადაწყვიტოს მის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამიტომაც ვთვლი, რომ ჩვენ პირველ რიგში აგროსექტორში უნდა შევძლოთ და ხელი შევუწყოთ მთლიანი საწარმოო ციკლის რაც შეიძლება მალე შექმნას, სადაც გათვლილი და გაწერილი იქნება ყველა სტადია პროდუქციის მოყვანის, მისი ხარისხის მართვით დაწყებული, გადამუშავებით, შენახვისა და ტრანსპორტირების, სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიტანით დამთავრებული. ამის მისაღწევად კი, პირველ რიგში საქმის ახლებურად მოწყობის სწავლაა საჭირო, რასაც უკვე ვახორციელებთ, პირველი შედეგები უკვე სახეზეა, იმედია, სულ მალე ჩვენი მოღვაწეობის შედეგებს ქვეყნის აგროსექტორი და პირველ რიგში აჭარა იგრძნობს.

**ლაშა კომახიძე,**
**გაეროს განვითარების პროგრამის,**
**აჭარის ეკონომიკური განვითარების**
**პროექტის მენეჯერი.**

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები - აგროსექტორის მომავალი

დღევანდელ აგროსექტორში, სადაც უმეტესწილად წვრილი, პრიმიტიული გლეხური მეურნეობებია, ძალზე ძნელი და წარმოუდგენელიც კია მაღალი სამეურნეო შედეგების მიღწევა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და ბაზარზე დამკვიდრება, სიახლეების დანერგვა, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა. როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, აგროსექტორში შრომის მაღალი ორგანიზაცია შესაძლებელია კოლექტიური შრომის ფორმების დანერგვით. ასეთებად კი მიჩნეულია ფერმერული მეურნეობები, მათი გაერთიანებები, კოოპერატივები, ასოციაციები და კორპორაციები.

> **ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომ კოოპერატივების შექმნა ნებაყოფლობის პრინციპს ემყარება და მის წევრებს ერთი ძირითადი მიზანი - პროდუქციის წარმოება აერთიანებთ.**

ახლახან საქართველოს პარლამენტმა მიიღო და ძალაში შევიდა კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“. ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან რადიკალური გარდატეხა უნდა შეიტანოს როგორც აგროსექტორის, ასევე ქართული სოფლის რეაბილიტაციასა და განვითარებაში, მოაწესრიგოს აგროეკონომიკური ურთიერთობები, სტიმული მისცეს უხვი და მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოებას, სოფლად ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთდამოკიდებულების დარეგულირებას.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილის განცხადებით, ამ კანონის საფუძველზე სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა შეიძლება მასობრივად დაიწყოს. ამისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და განვითარების სააგენტო. იგი პასუხისმგებელი და უფლებამოსილი იქნება კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებაზე, ფუნქციონირების შეწყვეტასა და მონიტორინგის ჩატარებაზე, შეღავათების მინიჭებასა და ხელშეწყობაზე. კანონიც სწორედ ამ საკითხებს არეგულირებს.

ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომ კოოპერატივების შექმნა ნებაყოფლობის პრინციპს ემყარება და მის წევრებს ერთი ძირითადი მიზანი-



პროდუქციის წარმოება აერთიანებთ. კოოპერატივებს ასევე შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, დაფასოება, შენახვა, გადაზიდვა და რეალიზაცია. მათზე კანონით გავრცელდება მთელი რიგი შეღავათები. მაგალითად, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი 2017 წლამდე თავისუფალი არიან ქონების გადასახადისგან. მიღებული შემოსავლიდან მოგების გადასახადისაგან. თუ კოოპერატივი გრანტებს მიიღებს, არც ეს ფინანსური რესურსი დაიბეგრება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში უფრო აკონკრეტებენ ნათქვამს. მათი განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მთავარი ხიბლი დემოკრატიული მმართველობაა. ერთი წევრი ნიშნავს ერთ ხმას, მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის და ღირებულების ქონებით შევიდა ესა თუ ის ფერმერი მასში. მთიან ზონებში კოოპერატივის დაფუძნება შეუძლია სამ ფერმერსაც კი. ხოლო ბარის ზონაში არანაკლებ ხუთისა. სასურველია მრავალწევრიანი და მრავალფუნქციური კოოპერატივების შექმნა, რომელთა შიგნითაც უფრო იოლია შრომის კარგი ორგანიზაცია, სახელმწიფოსთან და საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფა, შრომის პროცესების მაღალხარისხოვნად განხორციელება და ა.შ.

უკვე დაფუძნებული კოოპერატივები, რაც შეიძლება მალე უნდა დარეგისტრირდნენ სააგენტოში, რომ დროზე მიიღონ შესაბამისი სტატუსი და ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით და ხელშეწყობით.

„სოფლად შრომის ორგანიზაციის ფერმერული და კოოპერატიული ფორმა კარგადაა ნაცადი მსოფლიოში. ისინი წარმოადგენენ მთავარ საფუძველს, ძალასა და დასაყრდენს აგრარულ სფეროში და ჩვენც უნდა გავიზიაროთ ეს გამოცდილება. მე ხშირად ვხვდები სოფლების მოსახლეობას, ვიცი მათი განწყობა, პრობლემები, მოსაზრებები, სურვილები და დარწმუნებული ვარ კოოპერატივებში მალე უამრავი ფერმერი და საოჯახო მეურნეობის მფლობელი გაერთიანდება. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რეფორმა სოფლად წარმატებით განხორციელდება და ქართულ ბაზარს კვლავ დაიკავებს ჩვენი სოფლის ჭირნახული“: - ამბობს გიგლა აგულაშვილი.

ამასვე აცხადებენ აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ფერმერებიც, ვისაც კი ვხდებით სოფლად მიიჩნევენ, რომ ეს საშური საქმეა და სოფლად დაარეგულირებს არსებულ ვითარებას. თუ კოოპერატივების შექმნასთან ერთად, სოფელს მიეცემა სტატუსი და მმართველობის ადგილობრივი ორგანოს სახით გაუჩნდება პატრონი, ეს მართლაც რევოლუციური გარდატეხა იქნება.

საგულისხმოა, რომ პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები უკვე შეიქმნა და ეს მუშაობა გრძელდება. მოსახლეობაც დიდი ენთუზიაზმით ხვდება ამას. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შესაბამისი გრანტიც მოიგო და კოოპერატივების შექმნაც მის ბაზაზე ხორციელდება. ამ საქმეს სათავეში უდგანან მეცნიერებათა დოქტორები ასლან დევაძე და ზურაბ მიქელაძე. კოოპერატივებში უკვე ასობით ფერმერი გაერთიანდა. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ.

**რევაზ მსხილაძე,**
„აგროსერვის ცენტრის“
კონსულტანტ-მკვლევარი.

# რას ვთავაზობთ მეციტრუსე ფერმერებს დღეს, ხვალ...

როგორც ცნობილია, ციტრუსოვანთა ბაღების, ძირითადად მანდარინის და ფორთოხლის რამდენიმე ჯიშის გაშენება აჭარაში გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო. თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ და ცხადია, ამ ბაღების უმეტესობა დღეს გადაბერებული, ბიოლოგიურადაც და ფიზიკურადაც გაცვეთილია, იძლევა მცირე და დაბალხარისხოვან მოსავალს, თანაც შემოდის ზამთრის პირზე, რაც ამნელებს მის უდანაკარგო აღებას და მომგებიან რეალიზაციას. ეს კი, საგარეო ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას ვერ უზრუნველყოფს.



მეცნიერები და პრაქტიკოსები დიდი ხანია შეთანხმებული არიან იმაზე, რომ ჩვენი ციტრუსოვანთა ბაღები უნდა განახლდეს ახალი ჯიშებით, პერსპექტიული და სხვადასხვა დროს მწიფებადი ციტრუსოვანთა მცენარეებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ჯიშების შერჩევასაც, რომლებიც უფრო ყინვაგამძლე და დაავადებებისადმი მედეგი იქნებიან. სწორედ ამ მიზანს ისახავს ჩვენი „აგროსერვის ცენტრი“, რომლის ჩაქვის ციტრუსოვნების სანერგე მეურნეობაში დღეს 11 ჰექტარზე, 2011-2012 წლებში, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი ციტრუსოვნებია გაშენებული. ესაა სადედე-საკოლექციო და სადემონსტრაციო ბაღები, სადაც ესპანეთიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან და იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, პომელოს და სხვათა ათეულობით ჯიშის ნერგია დარგული. ისინი ახლა აკლიმატიზაციას გადიან და რომელიც უფრო მეტად გამოდგება ჩვენს პირობებში, გამოავლენს კარგ ნიშან-თვისებებს, ადვილად შეეგუება კლიმატს, მას გავამრავლებთ და თვითღირეუბლების ფასად მივყიდით მოსახლეობას. ამ მიზნით ახლა შენდება სათბურები, გამოგვყავს საძირეები და ვქმნით სამყნობ ზაზას.

უფრო კონკრეტულად, სანერგეებში ამჟამად აკლიმატიზაციას გადის ციტრუსოვანთა რვა სახეობა. (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, პომელო, კინკანი და ნარინჯი). სულ 58 ჯიში, საერთო რაოდენობით 3620 ძირი. მსგავსი მაშტაბური განახლებითი ღონისძიება გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა. დღეისთვის სამრეწველო დანიშნულების ერთადერთი ჯიში ტიახარა უნშიუ შემოგვრჩა, რომელიც ველარ პასუხობს მოთხოვნებს. ამ მხრივ ნამდვილი რევოლუციის მოხდენას ვაპირებთ. ზემოთაღნიშნული 56 ჯიშის და სახესხვაობის ციტრუსოვნებიდან 26 მანდარინია. ესაა სუპერ საადრეო(იავასე), საადრეო(ოკიცუ ვასე და ივასაკი). საშუალო დროს მწიფებადი (ტაგუჩი, ოჰოცუ და მიაგავ ვასეები). საგვიანო(ნოვა, საცუმა და კლაუსი). ასევე ჩვენს სანერგეებში აკლიმატიზაციას გადის ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი მანდარინის ჯიშები-ქართული საადრეო, მეგრელიშვილის საადრეო, შავიშვილის საადრეო, ქართული უხვმსხმოიარე კლონი რეკვავას მიჩერონელი. ფორთოხალი მიჩურინის დიდება, კოლექტიური, კორალიოკი- 100, უთესლო ფორთოხალი, გლუვკანიანი ვაშინგტონ-ნაველი, ლიმონი-დიოსკურია, ქართული უთესლო-უეკლო ლიმონი და სხვა.

> **ათეულობით ჯიშის ნერგია დარგული. ისინი ახლა აკლიმატიზაციის გადიან და რომელიც უფრო მეტად გამოდგება ჩვენს პირობებში, გამოავლენს კარგ ნიშან-თვისებებს, ადვილად შეეგუება კლიმატს, მას გავამრავლებთ და თვით-ღირეუბლების ფასად მივყიდით მოსახლეობას.**

ზოგიერთმა მცენარემ პირველი ნიშანი უკვე მოგვცა, მაგრამ ჯერ დასკვნების გამოტანა და მითუმეტეს, რეკომენდაციების მიცემა მოსახლეობისთვის მათ ავკარგიანობაზე ნაადრევია. მეციტრუსე ფერმერებს შეუძლიათ დაათვალიერონ ჩვენი ციტრუსოვანთა სადედე, საკოლექციო - სადემონსტრაციო ბაღები. მიიღონ სათანადო განმარტებები, კონსულტაციები ციტრუსოვანთა ბაღების მოვლა-პატრონობის შესახებ. რაც შეეხება ახალ ჯიშებს, უფრო კონკრეტული დასკვნების გამოტანა მომავალი წლიდან იქნება შესაძლებელი.

**თამაზ ბერიძე,**
„აგროსერვის ცენტრის“
აგრონომი.

# ღვინის კომპანიები აჭარული ყურძნით ინტერესდებიან

აჭარაში, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრადიციული, ოდესღაც მაღალ დონეზე განვითარებული მევენახეობა და მეღვინეობა თანდათან ისევ იკიდებს ფეხს და სავარაუდოდ მალე, ერთ-ერთ წამყვან და რენტაბელურ დარგადაც ჩამოყალიბდება. ამის წინაპირობა და განსაკუთრებით სახელისუფლებო ხელშეწყობა უკვე არსებობს.

> **კომპანიები „ასკანელი ძმები“ და „კატავე“ ფერმერებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს და იქაური მთლიანი მოსავლის შესყიდვას აპირებენ.**

ბოლო დროს აჭარაში ვაზის გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. შენდება სანერგე მეურნეობები, საპატრიარქოს ინიციატივით ტარდება ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალები. აქ უმეტესწილად ორიენტაცია ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშებზე აქვთ აღებული, ამას აქაური გამორჩეული ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც უწყობს ხელს და როგორც დეგუსტატორები ამტკიცებენ, ღვინოც საუცხოო დგება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ყურძნის სასუფრე ჯიშების საცდელი ნაკვეთებიც მოეწყო, აქ რამდენიმე საადრეო და მაღალპროდუქტიული, საკურორტო სეზონზე გათვლილი ჯიშებია დარგული, პირველი მოსავლიც არის და თუ ამ წამოწყებამ გაამართლა, მაშინ იმპორტირებული, საკმაოდ ძვირი ანალოგების, ადგილობრივი წარმოების ყურძნით ჩანაცვლების საშუალებაც მოგვეცემა. ცხადია, ამას მრავალმხრივი ეკონომიკური დატვირთვა აქვს.

> **დამზადებული ღვინის დიდი ნაწილი სავარაუდოდ საექსპორტო იქნება, თუმცა იგი ადგილობრივ ბაზარზეც გამოვა და მისი დაგემოვნება-დაჭაშნიკების საშუალება ადგილობრივებსაც ექნებათ და სტუმრებსაც.**

ჩვენებური მევენახე ფერმერების მიერ მოწეული ჩხავერითა და ცოლიკაურით უკვე დაინტერესდა ორი ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანია. „ასკანელი ძმები“ და „კატავე“ ფერმერებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს და იქაური მთლიანი მოსავლის შესყიდვას აპირებენ. ჩვენ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად კომპანია „ასკანელი ძმების“ მფლობელს, ჯიმშერ ჩხაიძეს დავუკავშირდით, რომელმაც ჩვენთან საუბარში დაადასტურა რომ მისი კომპანია წელს პირველად შედის რეგიონში და 40 ტონა ჩხავერისა და 350-400 ტონა ცოლიკაურის დამზადება-შესყიდვას აპირებს. დამზადებული ღვინის დიდი ნაწილი სავარაუდოდ საექსპორტო იქნება, თუმცა იგი ადგილობრივ ბაზარზეც გამოვა და მისი დაგემოვნება-დაჭაშნიკების საშუალება ადგილობრივებსაც ექნებათ და სტუმრებსაც. ბატონმა ჯიმიმ ისიც გვითხრა, რომ ყურძნის შესყიდვას ქედაში კომპანია „კატევე“-ც აპირებს, რომლის მეპატრონეც მისი ძმა ზურაბ ჩხაიძეა. ჯიმშერ ჩხაიძემ საწარმოო-ორგანიზაციული თუ ფინანსურ საკითხებზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა დაგვპირდა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ყველა საკითხზე ჩვენთან ექსკლუზიურად ისაუბრებს.

**ნუგზარ ჟორდანია**



# როდის და როგორ დავრგოთ ნერგი

სარგავი მასალისა და გადარგვის დროის სწორად შერჩევა შემოდგომისათვის ბაღის პროდუქტიულობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ამიტომ ფერმერებმა და სოფლად მაცხოვრებელმა ადამიანებმა მაქსიმალურად უნდა შეეცადონ საკუთარი მეურნეობის უკეთ მოწყობისათვის სარგავ მასალად საუკეთესო ნერგები შეარჩიონ და მცენარეთა მოვლის თანამედროვე მეთოდები გამოიყენონ. სასურველია სარგავი მასალა (ნერგი) იყოს ფიზიოლოგიურად კარგად განვითარებული და მავნებელ-დაავადებათაგან სუფთა. ოდითგანვე პრაქტიკაში ნერგების გადარგვის საუკეთესო ვადად მიღებული და აპრობირებულია გვიანი შემოდგომა და ადრეული გაზაფხული (კვირტების დაბერვამდე).

დღეისათვის მეცნიერულად ხეხილოვან კულტურათა ნერგების გადარგვის საუკეთესო პერიოდად ადრეული გაზაფხულია მიჩნეული. ამ დროს მცენარეში იწყება წვენის აქტიური მოძრაობა, ფესვთა სისტემა იწყებს განვითარებას, მცენარე ნიადაგს მყარად ეჭიდება და მისი გახარების მაჩვენებელიც მაღალია. გვიან შემოდგომაზე, როგორც წესი მცენარეში ფიზიოლოგიური პროცესები შეჩერებულია, მცენარე მთვლემარე მდგომარეობაშია, ფესვთა სისტემა უმოქმედოა, რის გამოც იგი ნიადაგთან შეჩვევას ვერ ახერხებს, რაც ხშირად ახლად გადარგული ნერგის ხმობის მიზეზი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, შემოდგომაზე გადარგული ნერგი ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში (ნაადრევი ზამთარი, დაბალი ტემპერატურა და სხვა) შეიძლება რისკის ქვეშ აღმოჩნდეს და ვერ გაიხაროს, ამიტომ ადრეულ გაზაფხულზე გადარგული ნერგების გახარების მაჩვენებელი ყოველთვის მაღალია. ციტრუსოვანთა კულტურებში კი სტანდარტული ნერგების გადარგვა შეიძლება შემოდგომაზეც (ნოემბრის შუა რიცხვებში) თუ მას შესაბამისად შევფუთავთ და ფესვის ყელზე მიწას შემოვაყრით.



ნებისმიერ შემთხვევაში ნერგის გადასარგავად უნდა შეირჩეს შესაბამისი ადგილი შესაბამისი კვების არის გათვალისწინებით და შემდგომ მოვამზადოთ ორმოები მათ დასარგავად. ორმოს სიღრმე და მოცულობა დასარგავი ნერგის სახეობაზე და სიდიდეზეა დამოკიდებული. გამზადებულ ორმოში უნდა ჩაიყაროს გაფხვიერებულ ნიადაგში არეული ორგანული სასუქი (ნეშომპალა, გადამწვარი ნაკელი, ტორფ-კომპოსტი და სხვა). დარგვის წინ ნერგის ფესვები სასურველია შეიკვეცოს (წავაჭრათ), ამოვავლოთ ჟიჟაში და ისე ჩავრგოთ წინასწარ მომზადებულ ორმოში. მყნობის ადგილი ნიადაგის ზედაპირიდან 5-10 სმ-ით მაღლა უნდა იყოს. ნერგს თანდათანობით უნდა მიეყაროს ფხვიერი მიწა, დაიტკეპნოს, მოირწყოს და მოეყაროს ფხვიერი მიწა მოუტკეპნავად. დარგული ნერგი აუცილებელია მივაკრათ ჭიგოზე. უკეთესი შედეგის მისაღწევად ნერგების გადარგვისას სასურველია დაინტერესებულმა პირმა შესაბამისი კონსულტაციისთვის მიმართოს შესაბამის სამსახურს ან კვალიფიციურ სპეციალისტს. ასეთ შემთხვევაში წარმატება გარანტირებული იქნება.

**ნუგზარ ოქროპირიძე,**
**„აგროსერვის ცენტრის“**
**მემცენარეობის განყოფილების**
**უფროსი.**

# ფუტკრის მომზადება გამოზამთრებისთვის

გამოცდილმა მეფუტკრეებმა იციან, და დამწყებ, ახალბედა მეფუტკრეებს კი შევახსენებთ, რომ ფუტკრის ზამთრობაზე მოქმედი ფაქტორებია: საკვები მარაგი და მისი ხარისხი, ფუტკრის ასაკი და რაოდენობა, ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობა, საზამთროდ ბუდის შედგენა, ინვაზიური დაავადებების სტერილიზება, სკის მიკროკლიმატი, სკების წყობა საფუტკრეში და მოზამთრე გუნდის მოძრაობა.

ხშირად ხდება ისე, რომ ზამთრობის პერიოდში ბევრი ფუტკარი იღუპება. მიჩნეულია, რომ დაღუპული ოჯახების რაოდენობა საშუალოდ 10% შეადგენს. ამიტომაც, საფუტკრემ ნორმალურად რომ გამოიზამთროს, მისი მფლობელი ამ საქმისათვის შემოდგომიდანვე უნდა შეემზადოს.

ფუტკრის ზამთრობისათვის საჭირო საკვების მარაგი და ხარისხი ზაფხულის ბოლოს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. თუ შეამჩნევთ, რომ იგი საკმარისი არ არის, მაშინ საფუტკრე უნდა მოამარაგოთ საჭირო მასალებით. კონცენტრირებული შაქრის 60%-იანი სიროფით ან ინვერსიული შაქრით, სასურველია, რომ მისი კონცეტრაცია თავიდანვე მაქსიმალურად, 76-77 % იყოს მიახლოებული თაფლთან, ეს ფუტკარს სასიცოცხლო ენერგიის დაზოგვის საშუალებას მისცემს. ფუტკრის მიერ 60%-იანი შაქრის სიროფის დიდი რაოდენობით გადამუშავების დროს, შაქრის 20-13 % ამ პროცე--დურებისთვის საჭირო ენერგეტიკული დანახარჯებია, რაც საზარალოა საფუტკრისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ფუტკრის ცვეთაზე. მიიჩნევენ, რომ



ზამთრობის პერიოდში (ღალიანობის დამთავრებიდან მომდევნო წლის ღალიანობის დაწყებამდე) თითოეული ჩარჩო მოზამთრე ფუტკარზე 2 კილოგრამი საკვებით უნდა იყოს მომარაგებული. თუმცა აქ მეფუტკრემ უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ თუ თბილი ზამთარია, ფუტკარი აქტიურდება და იწყებს ბუდეში კვერცხების დადებას, ეს კი ზრდის საკვების ხარჯვას და საჭირო ხდება დამატებით მისი მიცემა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზამთრის მეორე ნახევარში, უმეტესწილად თებერვალში, ფუტკრის ბუდეში ხშირად იწყება კვერცხდება და შესაბამისად ბარტყის კვება. ე.ი. ფუტკრის რძის გამოყოფა. ამ პროცესისათვის საჭირო ქეოს ხარჯვით. თუ ეს უკანასკნელი-სკაში შეზღუდული რაოდენობითაა, საჭირო ხდება ფუტკრისათვის ცილოვანი დანამატების (სოიოს შპრიტი ან ფარში, მშრალი რძე, საფუარი და სხვა) მიცემა ნახშირწყლოვან საკვებთან ერთად.

მოზამთრე ფუტკრის ასაკი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული ზამთრობისათვის. ზამთრობაში შესული ფუტკარი ფიზიოლოგიურად ახალგაზრდა უნდა იყოს. ე.ი სკაში არსებულ სამუშაო პროცესებში (ნექტრის მოტანა, დაბინავება და გადამუშავება ან შაქრის სიროფის გადამუშავება, ბარტყის გამოზრდა და სხვა), მისი მონაწილეობა სასურველი არ არის. ასეთი ფუტკარი გამოჩეკვის შემდეგ გაძლიერებულად იკვებება, განსაკუთრებით ჭეოთი, რაც ამდიდრებს მის ორგანიზმს სამარაგო საზრდო ნივთიერებებით (პროტეინი, ცხიმი, მინერალური ნივთიერებები), რომელთა შემცველობა ფუტკრის ორგანიზმში ზამთრობის დასაწყისში უფრო მაღალია, ვიდრე გაზაფხულზე. ზოგადად, მეფუტკრემ წარმოდგენა რომ იქონიოს, თუ როგორი ფუტკარი ჰყავს მას ზამთრობის წინ, აუცილებლად უნდა შეასრულოს გარკვეული საანალიზო სამუშაოები: მუშა ფუტკრის შეფერილობა, ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობა ან ფუტკრის ორგანიზმში პროტეინისა და ცხიმის რაოდენობა რაც შემდეგნაირად ხდება: მეფუტკრე თბილ, მზიან ამინდში ხსნის სკას, იღებს ჩარჩოებს და ათვალიერებს. მოზამთრე ფუტკარი უნდა იყოს კარგად შებუსული, რუხი ფერის. მოშავო ფერის ბზინავი ფუტკრის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ იგი ხანდაზმულია.

> **გახსოვდეთ! ზედმეტი ჩარჩოების დატოვება ზედმეტი სივრცის გათბობის საჭიროებას და ზედმეტი საკვების არამწარმოებლურ ხარჯვას, ფუტკრის გაზრდილ ცვეთას და საკვების დანაკლისს იწვევს!**

ადრეული შემოდგომისას მეფუტკრემ უნდა შეამოწმოს ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობა. ეს ინსტრუქცია მარტივია. გამოსაზამთრებელ მუშა ფუტკარში პროტეინის შემცველობა 45-50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ცხიმისა კი 12-20%-ზე ნაკლები. რაც შეეხება ფუტკრის რაოდენობას, მიღებული და რეკომენდირებულია, რომ ქართული ფუტკრისთვის, მისი შედარებით ნაკლები კვერცხმდებელობის გამო, 7-9 ჩარჩო-ოპტიმალურია. საზამთრო ბუდის შედგენის მნიშვნელობა იმაშია, რომ ფუტკრის გუნდმა შეძლოს შეუფერხებელი კვება და საჭირო საარსებო პირობების შენარჩუნება.

ზამთრობის მიმდინარეობის ერთ-ერთ მაჩვენებლად გამოიყენეთ გუნდში ნახშიროჟანგის ($CO_2$) კონცენტრაცია. ეს ნივთიერება განაპირობებს გუნდში ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობის შემცირებას და შესაბამისად საკვების ხარჯვისაც. დამტკიცებულია, რომ რაც მაღალია $CO_2$-ის შემცველობა (3-4%-მდე), მით ზამთრობა უკეთესად მიმდინარეობს.

გახსოვდეთ! ზედმეტი ჩარჩოების დატოვება ზედმეტი სივრცის გათბობის საჭიროებას და ზედმეტი საკვების არამწარმოებლურ ხარჯვას, ფუტკრის გაზრდილ ცვეთას და საკვების დანაკლისს იწვევს!

და ბოლოს, მეფუტკრე ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს და მუდმივად მიაქციოს ყურადღება მოზამთრე გუნდის ხმას, შეგახსენებთ, რომ მოზამთრე ფუტკარს ახასიათებს მშვიდი, თანაბარი ზუზუნი, ხოლო თუ რამე აწუხებს ავისმაუწყებლად ხმაურობს.

**ნუგზარ ჟორდანია**

# მიწის განკარგვის საერთაშორისო პრაქტიკა

არცერთ ქვეყანაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიწაზე საკუთრება აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და სხვადასხვა ნორმატიული აქტებით რეგულირდება. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო–სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი ჩვენს მეზობელ თურქეთშიც, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, კანადასა და ავსტრალიაში.



აშშ–ს მთელ რიგ შტატებში, კანადის რამდენიმე სასოფლო–სამეურნეო პროვინციაში და ავსტრალიის მოსავლიან და ვარგის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვა. ზოგან ეს ირიბი მექანიზმებითაცაა გარანტირებული.

ევროკავშირში მართალია მიწაზე საკუთრების უფლებების მოპოვების მხრივ ბევრი სახელმწიფოს მოქალაქეები გათანაბრებულები არიან, მაგრამ მათთვისაც დაწესებულა ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ეკონომიურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას.

ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო განიხილავს ორ ჰექტარზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას. დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.

ირლანდიაში 7 წლის განმავლობაში ცხოვრებაა საჭიროა იმისთვის, რომ მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას.

საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების და განსაკუთრებით, დიდი ფართობების მიწის შეძენა. აშშ–ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო–სამეურნეო მიწის ყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის კომისიის მიერ. სწორედ მკაცრი პირობებია იმის მიზეზი, რომ აშშ–ში სასოფლო – სამეურნეო მიწების მხოლოდ 1 პროცენტზე ნაკლები ეკუთვნით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა აფერხებს იურიდიულ პირებზე მიწის გასხვისებას. ბევრ ქვეყანაში მიწის ყიდვა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს, ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და ა.შ.

რუსეთში უცხოელებზე მიწის გაყიდვა 380 ტერიტორიულ წარმონაქმნში საერთოდ აკრძალულია, ეს ძირითადად საზღვრისპირა რაიონებს ეხება.

ბულგარეთში სასოფლო-სამეურნეო მიწე - ბისა და ტყეების გაყიდვა უცხოელებზე აკრძალულია.

ლიტვის სეიმმა ვადა გაუგრძელა კანონს, რომლის თანახმადაც უცხოელებს ქვეყანაში მიწის ყიდვა ეკრძალებათ.

უცხოელს მიწის ყიდვა ეკრძალება ინდოეთშიც.

ჩინეთში ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, გარდა მიწისა.

საინტერესოა, რომ თურქეთში, შავიზღვისპირეთის მიწების რუსებზე გაყიდვა კატეგორიულად აკრძალულია.

გამომდინარე ზემოთ ხსენებულისგან, ჩანს, რომ მართლაც დროულია ჩვენთან მიწის უცხოელებზე გასხვისების პროცესზე რამდე - ნიმეწლიანი მორატორიუმის დაწესება, თუმცა რა ეშველება უკვე გასხვისებულ ასიათასობით ჰექტარ სავარგულებს და რას უნდა ველოდოთ მომავალში, ეს უკვე სხვა განსჯის საგანია.

**ნუგზარ ჟორდანია**


მკითხველის აზრი
ჩვენთვის უმთავრესია!
მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ თქვენთვის
საინტერესო თემები და წინადადებები
ქვემოთ მითითებულ მისამართზე.
საქართველო. ბათუმი (6010)
გოგებაშვილის № 46
ელ.ფოსტა agroservice.centre@yahoo.com
ტელ.: 593100829

რედაქტორი
ნუგზარ ჟორდანია
WWW.AGROSC.GE
გაზეთზე მუშაობდნენ:
რევაზ მსხილაძე, ნუგზარ ოქროპირიძე, თამაზ ბერიძე.
გაზეთში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია
და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს
განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების
პროგრამის "ENPARD Ajara - სოფლის მეურნეობის განვითარების
მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში"

გაზეთი აიწყო,
დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მარკას" მიერ
WWW.MARKA.GE
592 129 192; 555 129 192